12

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

# ო ქ მ ი № 16

„17“ აგვისტო 2018 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღლაძიძე, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ალექსი მულიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო, საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ფიქრია ყურშიტაშვილი, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი დავით ქსოვრელიშვილი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე.
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე.
მოქალაქეები: თამარ ჯეირანაშვილი, ნინო კალშიანი

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

1.<u>მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

__აზრი გამოთქვეს:__ მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით წარმოდგენილ პროექტზე განმარტებები გააკეთა **ნ.ვაყელიშვილმა.**

**ა.ძულიაშვილმა** დასვა კითხვა სათვალთვალო კამერების სარეაბილიტაციოდ განსაზღვრული თანხების შესახებ.

**გ.ენუქიძემ** წარმოადგინა სოციალური პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები.

ქ. თელავის მიწათსარგებლობითი გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით **დ.ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მისი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა არ არის მიზანშეწონილი, რადგან დასაზუსტებელია მთელი რიგი საკითხები.

**დ.ღაღანიძეს** დაეთანხმა **დ.ქსოვრელიშვილი** და აღნიშნა, რომ პროცესები უნდა წარიმართოს სწორი ფორმით.

ბიუროს წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საკითხი არ არის სრულყოფილი და მისი საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანა არ არის მართებული.

**ფ.ყურშიტაშვილმა** საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის 2018-2015 წლების ახალგაზრდული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“.

**ლ.კოჭლოშვილმა** აღნიშნა, რომ აქტიურად იყო ჩართული სტრატეგიის შემუშავებაში და საკითხის სხდომაზე გატანა მიზანშეწონილია.

**ნ.ხვისტანმა** სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) შემუშავებისათვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“.

**დ.გოგოშვილმა** სხდომის დღის წესრიგში შესატანად დააყენა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის (6 თვის) კვარტალური მიმოხილვის შესახებ“.

__გადაწყვიტეს:__ მიმდინარე წლის 24 აგვისტოს, 11.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის №01 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ.ვაყელიშვილი
   11.00სთ-დან-11.20 სთ-მდე

2. „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის (6 თვის) კვარტალური მიმოხილვის შესახებ“.

   მომხს. ნ.ვაყელიშვილი
   11.20სთ-დან-11.30 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
11.30სთ-დან-11.45 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის 2018-2015 წლების ახალგაზრდული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ფ.ყურშიტაშვილი
11.45სთ-დან-12.00სთ-მდე

5. მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) შემუშავებისათვის დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.00სთ-დან-12.15 სთ-მდე

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე